

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი 2017-2018 სასწავლო წლიდან**

**აცხადებს მიღებას სადოქტორო პროგრამაზე - არქიტექტურული კვლევები.**

პროგრამა 3 -5 წელი სწავლების ღირებულებაა 750 ლარი. პროგრამაზე მიიღება 12 დოქტორანტი (ფასიანი ადგილი). (პროგრამული კონცენტრაციები: ქალაქგეგმარება და ლანდშაფტი ( 4 ადგილი), არქიტექტურის თეორია (8 ადგილი). (პროგრამის ხელმძღვანელები: გიორგი ბათიაშვილი, არქიტექტურის დოქტორი, თსსა პროფესორი; ნანა ქუთათელაძე, არქიტექტურის დოქტორი, თსსა ასოცირებული პროფესორი; თინათინ ხიმშიაშვილი გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, თსსა ასოცირებული პროფესორი; ბორის გოლუბჩიკოვი, არქიტექტურის დოქტორი, თსსა მოწვეული პროფესორი)

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;

დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველებმა უნდა გაიარონ შემდეგი ეტაპები:

## **პირველი ეტაპი: რეგისტრაცია**

დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველებმა **2017 წლის 24 ივლისიდან 20 აგვისტომდე** უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- ▮ განცხადება დეკანის სახელზე;
  - ▮ განმცხადებლის ავტობიოგრაფია (CV );
  - ▮ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი;
  - ▮ პირადობის დამადასტურებელი მოწმობული ასლი;
  - ▮ სამოტივაციო წერილი, რომელშიც დასმული იქნება საკვლევი პრობლემა და მოცემული იქნება კანდიდატის ხედვა მისი გადაჭრის გზებზე;
  - ▮ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა სათანადო დასაბუთებით;
  - ▮ სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა
  - ▮ 3 წლის სამუშაო გამოცდილება (შრომითი ხელშეკრულება ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი).
- უპირატესობა მიენიჭება შერჩეულ სფეროში პროფესიულ გამოცდილებას;
- ▮ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან აკადემიის მიერ ორგანიზებული უცხო ენის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი მოწმობა;

## **მეორე ეტაპი: გამოცდა უცხო ენაში;**

გამოცდა ჩატარდება 2017 წლის 7 სექტემბერს თსუ-ში.

გამოცდის შედეგები გამოქვეყნდება თსუ-ს ვებ-გვერდზე.

## **მესამე ეტაპი: პრეზენტაცია**

2017 წლის 21, 22 სექტემბერს ჩატარდება გასაუბრება/პრეზენტაცია

იმ კანდიდატებთან, ვინც წარმატებით დაძლია უცხო ენის გამოცდა.

დოქტორანტობის კანდიდატი ფაკულტეტის საბჭოს წინაშე წარადგენს პრეზენტაციას საკვლევი თემის პრობლემატიკის შესახებ. გარდა პრეზენტაციისა დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული რეფერატი არა ნაკლებ 15 გვერდისა.

გასაუბრების შედეგები გამოქვეყნდება 2017 წლის 23 სექტემბერს

გასაუბრების შედეგად გამოვლენილი წარმატებული კანდიდატები, აკადემიაში

სწავლის გაგრძელების სურვილის დასადასტურებლად და ხელშეკრულების

გასაფორმებლად უნდა მოცხადდნენ არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანატში (მის:

გრიბოედოვის ქ. #22, ახალი კორპუსი, ოთახი N709). 25 სექტემბრიდან - 30 სექტემბრამდე.

**შენიშვნა:** ზემოთ აღნიშნული საბუთების წარმოდგენის გარეშე კანდიდატი ვერ

გააფორმებს ხელშეკრულებას თსსა-სთან სადოქტორო პროგრამებზე ჩასარიცხად.

დოქტორანტურაში სწავლის მსურველები დაგვიკავშირდით:

თსსა არქიტექტურის ფაკულტეტის საპროფესოროში. მის: ძმები ზუბალაშვილების #47,

ოთახი N909; საკონტაქტო პირი: ლია ძიძიგური ტელ. 568 891827

## **სერტიფიკატების ჩამონათვალი**

სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს გერმანული, ინგლისური ან ფრანგული ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნას, ათვისუფლებს კანდიდატს ამ ენებში გამოცდისაგან. ასევე ამ ენებში გამოცდისაგან თავისუფლდებიან კანდიდატები, რომელთაც ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის კურსი აქვთ გავლილი გერმანულ, ინგლისურ ან ფრანგულენაზე.

სერტიფიკატების ჩამონათვალი:

## **გერმანული ენა Goethe – Zertifikat B2**

### **ინგლისური ენა**

CEFR B2

IELTS exam – 5

BEC exam and CELS exam – Vantage

Cambridge exam – FCE

Pritman ESOL International

TOEIC – 541

TOEFL – 500 (paper - based)

173 (computer - based)

61 (internet - based)

